

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №51

ქ. ბათუმი „ 28 “ ივნისი, 2018 წელი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავ ობიექტთა ნუსხას დაემატოს 32-35-ე პუნქტები (საპრივატიზებო ობიექტები), თანახმად დანართი 1-სა;

ბ) განკარგულების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმას დაემატოს 32-35-ე პუნქტები (პრივატიზების გეგმაში შემავალი ობიექტები), თანახმად დანართი 2-სა;

2. განკარგულების მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის (რედაქციის) 2¹ და 2² პუნქტები:

„2¹. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო მოძრავი ობიექტების ნუსხა, თანახმად დანართი 3-სა;

2². დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზების გეგმა, თანახმად დანართი 4-სა.“.

3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ობიექტების განკარგვის შესახებ და განკარგულების შესრულების მიზნით დაევალოს უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თეზიძე

საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხა

N	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები	
				მიწის ფართობი (კვმ)	შენობის ფართი (კვმ)
32	ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. N81-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.27.14.074	75,00	—
33	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N336ა-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.35.27.241	77,00	—
34	ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ჩიხი N4-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.26.14.026	122,00	—
35	ქ. ბათუმი, დასახლება კახაბერი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.14.059	515,00	—

დანართი 2

უძრავი ქონების პრივატიზების გეგმა

N	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები		საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო/პირობიანი)	ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/და პერიოდულობა
				მიწის ფართობი (კვმ)	შენობის ფართი (კვმ)			
32	ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. N81-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.27.14.074	75,00	—	18 800	პირობიანი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში
33	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N336ა-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.35.27.241	77,00	—	11 600	პირობიანი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში
34	ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ჩიხი N4-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.26.14.026	122,00	—	36 200	პირობიანი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში
35	ქ. ბათუმი, დასახლება კახაბერი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.14.059	515,00	—	84 600	პირობიანი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში
ჯამი			X	789,00	0,00	151 200	X	X

საპრივატიზაციო მოძრავი ობიექტების ნუსხა

N	მოძრავი ობიექტის დასახელება	მაიდენტიფიცირებელი/მასას იათებელი ნიშანი	ექსპლუატაციის ვადა	ზომის ერთეული	რაოდენობა
1	ჯართი	შავი ლითონის	—	ტონა	16

საპრივატიზაციო მოძრავი ობიექტების პრივატიზაციის გეგმა								
N	მოძრავი ობიექტის დასახელება	მაიდენტიფიცირებელი/მახასიათებელი ნიშანი	ექსპლუატაციის ვადა	ზომის ერთეული	რაოდენობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო/პირობებიანი)	ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	ჯართი	შავი ლითონის	—	ტონა	16	6400	პირობიანი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში